ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია

ქ. თეთრიწყარო

19/03/2018

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 355

355-13-4-201803191007

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების, 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, 61-ე მუხლის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, 86^1-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება დანართი N1-ის მიხედვით.
2. დამტკიცდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- გულნარა შოშიტაშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია“ წარმომადგენელი (არასამთავრობო სექტორი)
- გალინა ოქროპირიძე - ,,კოდის სათემო განათლების ცენტრის“ ხელმძღვანელი
- ლუსინე დოსტიბეგიანი - ა.ა.(ი).პ თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელი (არასამთავრობო სექტორი)
- ნინო მეტრეველი - სამოქალაქო სექტორი
- დათო ბეკოშვილი - თეატრისა და კინოს მსახიობი (სამოქალაქო სექტორი)
- ციური გონგაძე - პედაგოგი (სამოქალაქო სექტორი)
- იმედა წიკლაური - სამოქალაქო სექტორი
- ჯემალ ბორცვაძე - სამოქალაქო სექტორი
- კახა ნადირაძე - (არასამთავრობო სექტორი)
- დავით ბაციკაძე - სამოქალაქო სექტორი
- ნაზი პოილარაშვილი - სამოქალაქო სექტორი
- მურმან დვალაძე - სამოქალაქო სექტორი
- მერაბ ართმელიძე - სამოქალაქო სექტორი
- ალექსანდრე კვერნაძე - კერძო სექტორი
- ალექსანდრე მუკბანიანი - ექიმი, (სამოქალაქო სექტორი)
- გიორგი ბაბანიანი - სამოქალაქო სექტორი

- მინდია ცეცხლაძე - სამოქალაქო სექტორი
- ლეილა ხაჭვანი - სამოქალაქო სექტორი
- გურამ შავაძე - სამოქალაქო სექტორი
- ბადრი ქურასბედიანი - სამოქალაქო სექტორი
- ბიჭიკო ბიჭიაშვილი - სამოქალაქო სექტორი
- ზურაბ გუჯეჯიანი - სამოქალაქო სექტორი

3. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გამართული მუშაობისათვის საჭირო შესატყვისი ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა და შესაბამისი რეგულარული საორგანიზაციო ხასიათის ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 ნოემბრის N994, „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 ნოემბრის N994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის N670 და „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 ნოემბრის N994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის N1036 ბრძანებები.

5. დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსს ალნერი დარბაიძეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერის პირველ მოადგილეს მალხაზ სამაშვილს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი ქორიძე

მუნიციპალიტეტის მერი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია